ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ია გაბედავა – კოლეგიის თავმჯდომარე

არჩილ ჩოფიკაშვილი – კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ს. ფ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 03.08.2018

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 103/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ მ. დ.-ის მიმართ /სიითი №....././

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ მ. დ.-ისთვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ეთიკის კომისიას 2018 წლის 03 აგვისტოს საჩივრით მომართა ს. ფ.-მ და მოითხოვა ადვოკატ მ. დ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2013 წლის 07 აგვისტოს ადვოკატ მ. დ.-სთან გააფორმა ხელშეკრულება საადვოკატო მომსახურების შესახებ, რომლის მიხედვითაც შეთანხმების მოქმედების ვადა განსაზღვრული იყო საქმის დასრულებამდე, ყველა ინსტანციაში და საადვოკატო მომსახურების თანხა შეადგენდა 1000 აშშ დოლარის ექვივალენტს ეროვნულ ვალუტაში - 1650 ლარს, რაც საჩივრის ავტორმა გადაიხადა.

1.3 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ 2013 წლის 25 ოქტომბერს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს შენობაში, მის საქმეზე სხდომის დაწყებამდე ის ადვოკატმა მ. დ.-მ დააშანტაჟა და დამატებითი თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში უარი გამოუცხადა სააპელაციო

სასამართლოში მისი ინტერესების დაცვაზე. ადვოკატმა ის დააყენა გამოუვალი მდგომარეობის წინაშე, რის შესაბამისადაც მან მოუწერა ადვოკატს ხელი დამატებით ხელშეკრულებაზე, რომელიც მას არ წაუკითხავს, ვინაიდან მის საქმეზე იწყებოდა სხდომა. საჩივრის ავტორმა ადვოკატს თავდაპირველი შეთანხმების მიხედვით 2014 წლის 02 სექტემბერს გადაუხადა 700 აშშ დოლარი და დამატებითი შეთანხმების მიხედვით, გადასახდელი დარჩა 7000 აშშ დოლარი. ადვოკატმა მ. დ.-მ სარჩელით მიმართა სასამართლოს 2015 წლის 20 მარტს, რის შედეგადაც სასამართლომ ს. ფ.-ს დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დააკისრა 7000 აშშ დოლარის გადახდა, თუმცა რეალურად ადვოკატს მოთხოვნის უფლება მხოლოდ 6000 აშშ დოლარზე გააჩნდა და მოთხოვნა სარჩელში არასწორად დააყენა.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2018 წლის 06 მარტს მ. დ.-მ ,,იაფფასიანი მანიპულაციით'' სარჩელით მიმართა სასამართლოს ბ. დ.-ის სახელით, რომელსაც მან დაუთმო მოთხოვნის უფლება. სარჩელის უზრუნელსაყოფად, დაყადაღდა ს. ფ.-ს შვილის, ლ. ფ.-ს, საკუთრებაში არსებული ბინა, რომელსაც კავშირი არ აქვს მასსა და ადვოკატს შორის დავასთან.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა მ. დ.-მ კვლავ მიმართა სასამართლოს ბ. დ.-ის სახელით და მოითხოვა ბ. დ.-ის სასარგებლოდ 2015 წლის 20 მარტიდან (დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანიდან) 2018 წლის 20 მარტამდე (სარჩელის აღძვრამდე) მიუღებელი შემოსავლის 6300 აშშ დოლარის გადახდის ვალდებულების ს. ფ.-ზე დაკისრება. ამავე დროს, ადვოკატმა საჩივრით მიმართა პოლიციას და მოითხოვა სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების შეუსრულებლობის გამო ს. ფ.-ს მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი მ. დ. მას ასევე სთხოვდა კომპანია ''.....''-ს წინააღმდეგ დავის მოგების შემთხვევაში კომპანიისათვის დაკისრებული ფულადი ვალდებულების 50%-ს. მოცემულ მოთხოვნაზე 2014 წლის 10 მარტს გაფორმდა დამატებითი ხელშეკრულება. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ადვოკატი მოცემულ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერისათვის მას არწმუნებდა, რომ აღნიშნული თანხა საჭირო იყო სხვადასხვა ხარჯებისათვის, მათ შორის მის საქმეზე დადებითი პასუხის მისაღებად გასაცემი ქრთამისთვის.

1.7 საჩივრის ავტორის განმარტებით, მას ადვოკატ მ. დ.-სთან საქმიანი ურთიერთობის გაგრძელების სურვილი აღარ გააჩნდა, შესაბამისად მან გააუქმა მ. დ.-ის სახელზე გაცემული ნოტარიალური მინდობილობა და აიყვანა ახალი ადვოკატი ა. მ.. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ადვოკატი მ. დ. არაკოლეგიალურად მოექცა ადვოკატ ა. მ.-ს და სასამართლო პროცესზე შეურაცხყოფა მიაყენა.

1.8 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი მ. დ. აკითხავდა მის მევალეს ც. ტ.-ს, რომლისგანაც ითხოვდა ს. ფ.-ს წინააღმდეგ ჩვენების მიცემას, რითიც ადვოკატი საკუთარი ინტერესებისთვის იყენებდა კლიენტის საქმისწარმოების პროცესში მიღებულ ინფორმაციას.

2. საჩივრის ავტორის მოწმე ა. მ.:

2.1 2018 წლის 10 ოქტომბერს საჩივრის ავტორის მოწმემ ა. მ.-მ საპროცესო კოლეგიის სხდომაზე განმარტა, რომ 2014 წელს ერთ-ერთ სასამართლო პროცესზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ფოიეში (ზუსტ თარიღს მოწმე ვერ იხსენებს) შეხვდა ადვოკატ მ. დ.-ს, რომელმაც შეურაცხყოფა მიაყენა მას და მის კლიენტს ს. ფ.-ს. ამ დროს მ. დ. აღარ წარმოადგენდა ს. ფ.-ს ადვოკატს. მოწმის განმარტებით, ადვოკატი მ. დ., მას შემდეგ, რაც შეწყდა საჩივრის ავტორსა

და ადვოკატს შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა, საკუთარი ინიციატივით ესწრებოდა ს. ფ.-ს სასამართლო პროცესებს, სადაც ს. ფ.-ს ინტერესებს ადვოკატი ა. მ. წარმოადგენდა. მოწმის შეფასებით, ადვოკატი მ. დ. იქცეოდა არაეთიკურად, ფსიოქოლოგიურ ზემოქმედებას ახდენდა ადვოკატ ა. მ.ზე და მის ყოფილ კლიენტზე, დასცინოდა მათ და აკნინებდა ა. მ.-ის სამართლებრივ ცოდნას.

2.2 მოწმის განმარტებით, მან კლიენტისგან გადმოცემით იცის, რომ სასამართლო პროცესის დაწყებამდე ადვოკატმა შესთავაზა ახალი, დამატებითი შეთანხმება, წინააღმდეგ შემთხვევაში უარი უთხრა პროცესში მონაწილეობაზე, რის გამოც ს. ფ.-მ ზედაპირულად გადახედა დამატებით შეთანხმებას და ხელი მოაწერა. ადვოკატმა ურჩია კლიენტს, რომ მოცემული ხელშეკრულების ბათილობის მოთხოვნით სასამართლოსთვის მიემართა, თუმცა თავად ვერ დაეხმარებოდა მოცემულ დავაში, ვინაიდან მოწინააღმდეგე მხარეს მისი კოლეგა წარმოადგენდა.

3. საჩივრის ავტორის მოწმე მ. ჟ.-:

საპროცესო კოლეგიის სხდომაზე 2018 წლის 27 სექტემბერს საჩივრის ავტორის მოწმემ მ. ჟ.-მ განმარტა, რომ ის ესწრებოდა სასამართლო პროცესს (ზუსტ თარიღს ვერ იხსენებს), როდესაც შეესწრო ფაქტს, სადაც ადვოკატი მ. დ. ლანძღავდა ადვოკატ ა. მ.-ს. აღნიშნულზე სასამართლო პროცესის მანდატურებს რეაგირება არ მოუხდენიათ.

4. საჩივრის ავტორის მოწმე ზ. ფ.:

საპროცესო კოლეგიის სხდომაზე 2018 წლის 27 სექტემბერს საჩივრის ავტორის მოწმემ ზ. ფ.-მ განმარტა, რომ ადვოკატ მ. დ.-ს შეხვდა რამოდენიმეჯერ, სასამართლო პროცესებზე და ერთხელ საქართველოს მთავარ პროკურატურაში. სააპელაციო სასამართლოს პროცესზე შესვლამდე, ფოიეში მოწმე შეესწრო ფაქტს, სადაც ადვოკატმა მ. დ.-მ ს. ფ.-ს მოსთხოვა ხელი მოეწერა გამზადებულ ხელშეკრულებაზე, რითაც ადვოკატი მიიღებდა საქმის მოგების შემთხვევაში ამოღებული თანხის 50%-ს, წინააღმდეგ შემთხვევაში ადვოკატი მ. დ. არ დაესწრებოდა სააპელაციო სასამართლოს პროცესს. მოწმეს არ ახსოვს ს. ფ.-მ წაიკითხა თუ არა ხელშეკრულება. მოცემულ მოთხოვნას დათანხმდა აღელვებული ს. ფ. და ადგილზე მოაწერა ხელი ხელშეკრულებას.

5. ადვოკატის პოზიცია:

5.1 ადვოკატ მ. დ.-ის განმარტებით, ს. ფ.-მ დახმარებისთვის მიმართა 2013 წლის აგვისტოს, რაზეც ადვოკატმა წინასწარ აცნობა იმ თანხის ოდენობა, რომელიც გადასახდელი ექნებოდა ს. ფ.-ს თუ ის გადაწყვეტდა სასამართლოში საქმის წარმოებას. შემდგომ 2013 წლის 07 აგვისტოს ადვოკატსა და ს. ფ.-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება საადვოკატო მომსახურების შესახებ და 2013 წლის 08 აგვისტოს თავისუფალი ნების გამოხატვით ს. ფ.-მ ნოტარიუსთან შეადგინა რწმუნებულება, რადგან მისი საქმე სასამართლოში ეწარმოებინა მ. დ.-ს.

5.2 ადვოკატის განმარტებით, მან დაიწყო ს. ფ.-ს საქმეზე მუშაობა მიუხედავად იმისა, რომ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება ს. ფ.-ს არ შეუსრულებია, კერძოდ ხელშეკრულების ხელმოწერიდან 10 დღის ვადაში არ გადაუხდია 1000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში.

5.3 ადვოკატი განმარტებით, 2013 წლის 23 ოქტომბერს ადვოკატსა და ს. ფ.-ს შორის გაფორმდა დამატებითი შეთანხმება, სადაც განისაზღვრა, რომ ს. ფ.-სა და ბ. ლ-ს შორის 2013 წლის 23

ოქტომბერს შედგენილი შეთანხმებით ს. ფ.-სათვის გადაცემული ოროთახიანი ბინის რეალიზაციის შემდეგ საჩივრის ავტორს ადვოკატისათვის, მოგებული საქმის საზღაურის სახით უნდა გადაეხადა 7 700 აშშ დოლარი. 700 აშშ დოლარი იყო ის დარჩენილი თანხა, რომელიც ს. ფ.-ს 2013 წლის 7 აგვისტოს საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებით უნდა გადაეხადა და 2013 წლის 25 ოქტომბრისთვის არ ჰქონდა გადახდილი. ადვოკატის განმარტებით, მიუხედავად ამისა, ის თავიდანვე კეთილსინდისიერად ასრულებდა ნაკისრ ვალდებულებას.

5.4 ადვოკატი განმარტავს, რომ დამატებითი ხელშეკრულება ს. ფ.-ს წაკითხული და გააზრებული ჰქონდა, პირობა მისთვის მისაღები იყო, რაც დაადასტურა ხელმოწერით და 2014 წლის 02 სექტემბერს ადვოკატს გადაუხადა 700 აშშ დოლარი, შესაბამისად გადასახდელი დარჩა 7000 აშშ დოლარი. 2013 წლის 25 ოქტომბერს დამატებითი შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების ს. ფ.-ს მიერ შეუსრულებლობის გამო, ადვოკატმა მ. დ.-მ სასამართლოს მიმართა სარჩელით და მოითხოვა ს. ფ.-ზე 7000 აშშ დოლარის დაკისრება, რაზეც ს. ფ.-მ წარმოადგინა შესაგებელი, სადაც სადაოდ არ გახადა სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები. 2015 წლის 20 მარტს დანიშნულ სხდომაზე არ გამოცხადდა ს. ფ. და სასამართლომ მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რითაც ს. ფ.-ს დააკისრა 7000 აშშ დოლარის გადახდა.

5.5 ადვოკატი განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლოს შენობაში ს. ფ.-ს საქმის განხილვამდე მის მიერ შანტაჟის მოწყობით ხელშეკრულებაზე ხელმოწერის შეთავაზება არის სიცრუე, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოში სააპელაციო საჩივრის განხილვა ს. ფ.-ს საქმეზე მოხდა 2014 წლის 28 მარტს და არა ს. ფ.-ს მიერ განმარტებულ 2013 წლის 25 ოქტომბერს. 2013 წლის 25 ოქტომბერს მას არანაირი სხდომა არ ჰქონდა სააპელაციო სასამართლოში, სადაც წარმოადგენდა ს. ფ.-ს. ადვოკატის განმარტებით, ს. ფ.-ს 2014 წლის 28 მარტის სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე ადვოკატი მ. დ.-ის გარდა მას ასევე წარმოადგენდა ადვოკატი ლ. ა., შესაბამისად, ს. ფ., მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი ფაქტი არ მომხდარა, ის არ ჩავარდებოდა გამოუვალ მდგომარეობაში.

5.6 ადვოკატის განმარტებით, ს. ფ.-ს არ ჰქონდა სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში შპს ,,.....“-ს წინააღმდეგ დავის გასაგრძელებლად სახელმწიფო ბაჟისთვის საჭირო თანხა. ადვოკატის მიერ მომზადებული შუამდგომლობის საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ სახელმწიფო ბაჟის თანხა გაანახევრა და მისი გადახდა გადაავადა, რამაც შესაძლებელი გახადა ს. ფ.-სთვის დავის გაგრძელება. ს. ფ.-მ თუ ადვოკატი მოიგებდა სააპელაციო სასამართლოში განსახილველ საქმეს, შესთავაზა მოგებული თანხის 50%, რაზეც ადვოკატი დათანხმდა და შეადგინა ხელშეკრულება, რის შემდეგადაც ადვოკატმა მ. დ.-მ თავისი ინიციატივით კლიენტთან შეთანხმებით საქმეში ჩართო მეორე ადვოკატი, ლ. ა..

5.7 ადვოკატი განმარტავს, რომ ადვოკატისათვის გაცემული მინდობილობა ს. ფ.-მ გააუქმა სააპელაციო სასამართლოს მიერ 2014 წლის 29 მარტის გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, 2014 წლის 14 აპრილს, რაც მიუთითებს, რომ მინდობილობის გაუქმების მიზანი არ არის ადვოკატის მხრიდან რაიმე სახის არაკეთილსინდისიერი ქმედების განხორციელება, არამედ მოცემული მინდობილობა ს. ფ.-მ გააუქმა იმ მიზნით, რომ სამომავლოდ თავი აერიდებინა ჰონორარის გადახდის ვალდებულებისათვის.

5.8 ადვოკატის განმარტებით, კლიენტი არ ექცეოდა კეთილსინდისიერად, რამაც აიძულა ადვოკატი, რომ სარჩელით მიმართა სასამართლოს და სარჩელის უზრუნველყოფის

ღონისძიების სახით ყადაღა დაედო ს. ფ.-ს შვილის, ზ. ფ.-ს, საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას.

5.9 ადვოკატი უარყოფს ც. ტ.-თან შემხებლობას და განმარტავს, რომ ის თავისი ინიციატივით არ დაკავშირებია ც. ტ.-ს და კლიენტის მოვალე არ გამოუყენებია კლიენტის წინააღმდეგ.

II სამოტივაციო ნაწილი

6. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

6.1 ადვოკატი მ. დ. არის სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის'' მოქმედი წევრი /სიითი №..../ სპეციალიზაცია - საერთო.

6.2 ს. ფ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2018 წლის 03 აგვისტოს.

6.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2013-2015 წლებში. ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

7. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ მ. დ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

8. სამართლებრივი შეფასება:

8.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატ მ. დ.-ის მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა ხელი მოაწერინა დამატებით ხელშეკრულებაზე მისი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით; მეორე დამატებითი ხელშეკრულებით შესთავაზა არაეთიკური ხელშეკრულების პირობა; ადვოკატი მის წინააღმდეგ ჩვენების მისაცემად გაესაუბრა ც. ტ.-ს, ს. ფ.-ს მევალეს; ადვოკატმა შეურაცხყოფა მიაყენა მის მოქმედ ადვოკატ ა. მ.-ს.

8.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ მ. დ.-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა" ქვეპუნქტი: ,,ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები."

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილი: ,,ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ".

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-8 ნაწილი: ,,ადვოკატის ანაზღაურების გამოთვლის წესი და შესაბამისი განაკვეთი წინასწარ უნდა იყოს ცნობილი და მისაღები კლიენტისათვის".

8.3 ადვოკატის მიერ კლიენტის ინტერესების კეთილსინდისიერად წარმოდგენა გულისხმობს ადვოკატის მხრიდან კლიენტის დასაცავად ყველა შესაძლო კანონიერი საშუალების გამოყენებას.

8.4 ადვოკატი ვალდებულია განუმარტოს კლიენტს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება მისი საქმის წარმოების შესახებ და, ბუნებრივია, ასეთი განმარტების შედეგად, თუკი მისაღებია კლიენტისათვის, საბოლოოდ შედგება თანხმობა. ეს საკითხი პირდაპირაა დაკავშირებული კლიენტის ინტერესების საუკეთესოდ დაცვასთან, რადგან კლიენტმა ყოველთვის უნდა იცოდეს, რამდენად შეწვდება ის ფინანსურად სამართლებრივ მომსახურებას, რომელსაც ითხოვს ადვოკატისაგან კონკრეტული იურიდიული ინტერესის მისაღწევად. კლიენტისათვის მოსალოდნელი ხარჯების შესახებ ინფორმაციის, დროულად და მისთვის გასაგებ ენაზე მიწოდება ხელს უწყობს ადვოკატის მიმართ ნდობის ჩამოყალიბებას. ეთიკის კომისიამ 2017 წლის 20 ოქტომბერს საქმეზე N032/17 განმარტა, რომ ,,ადვოკატის ეთიკური ვალდებულებაა, კლიენტს მისთვის გასაგები ფორმით წინასწარ მიაწოდოს ინფორმაცია ჰონორარის ოდენობასა და გამოთვლის წესზე, ასევე საქმის წარმოების მოსალოდნელ ხარჯებზე.“

8.5 დისციპლინური საქმის მასალებით დგინდება, რომ საჩივრის ავტორსა და ადვოკატს შორის 2013 წლის 07 აგვისტოს წერილობითი ფორმით დაიდო საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება. ხელშეკრულებით ადვოკატმა მ. დ.-მ აიღო ვალდებულება ს. ფ.-სათვის გაეწია სამართლებივი დახმარება სამოქალაქო საქმეზე შპს ,,.....“-ს წინააღმდეგ, დავის საგანს წარმოადგენდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. მოცემული ხელშეკრულებით საჩივრის ავტორმა აიღო ვალდებულება გადაეხადა საადვოკატო მომსახურების თანხა 1000 აშშ დოლარის ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში 1650 ლარი და საქმის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, სადაო საგნის ღირებულების 15 %. იმავე წლის 2013 წლის 25 ოქტომბერს მხარეებს შორის დაიდო დამატებითი ხელშეკრულება, რომლის გაფორმების საფუძველი გახდა მოსარჩელე ს. ფ.-სა და მოპასუხე ,,...“-ს დამფუძნებელი თავმჯდომარის, შპს ,,....“-ის დირექტორ ბ. ლ.ს შორის 2013 წლის 23 ოქტომბერს გაფორმებული შეთანხმება N1. დამატებით ხელშეკრულებას მხარეები ხელს აწერენ და ს. ფ., იღებს ვალდებულებას, ადვოკატ მ. დ.-ს გადაუხადოს 7700 აშშ დოლარი, იმის შემდეგ, როდესაც ს. ფ. დაირეგისტრირებს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში 2013 წლის 23 ოქტომბრის შეთანხმება N1-ის პირველ პუნქტში მითითებულ უძრავ ნივთს და გაყიდის მას.

8.6 საპროცესო კოლეგიის მიერ მხარეთაგან მიღებული ინფორმაციითა და დოკუმენტებით იკვეთება, რომ ადვოკატსა და კლიენტს შორის 2013 წლის 7 აგვისტოს საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებით და 2013 წლის 25 ოქტომბრის დამატებითი ხელშეკრულებით კლიენტისათვის საადვოკატო მომსახურების ანაზღაურების წესი და საადვოკატო მომსახურების ხარჯები ცნობილი იყო, ვინაიდან დოკუმენტებში იკვეთება საჩივრის ავტორის ხელმოწერა, მოცემულ დამატებით ხელშეკრულებას საჩივრის ავტორი სადაოდ არ ხდის, რასაც შედეგად მოჰყვა მის წინააღმდეგ 2015 წლის 20 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილება - მოსარჩელე - მ. დ., მოპასუხე - ს. ფ., დავის საგანი - ფულადი ვალდებულების შესრულება, საქმე N2/XXXX-15. ს. ფ.-მ 2015 წლის 05 მარტის შესაგებლით ცნო მ. დ.-ის სარჩელი. კოლეგია საჩივრის ავტორის იმ პრეტენზიაზე, რომ ადვოკატმა მას ხელი მოაწერინა დამატებით ხელშეკრულებაზე მისი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით, განმარტავს, რომ ეს პრეტენზია უარყო ადვოკატმა. საჩივრის ავტორის ეს პოზიცია დაადასტურა მისმა მოწმემ - შვილმა. მოწმის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს

პროცესზე შესვლამდე, ფოიეში შეესწრო ფაქტს, სადაც ადვოკატმა მ. დ.-მ ს. ფ.-ს მოსთხოვა ხელი მოეწერა გამზადებულ ხელშეკრულებაზე, რითიც ადვოკატი საქმის მოგების შემთხვევაში თანხის 50%-ს მიიღებდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ადვოკატი მ. დ. უარს აცხადებდა მონაწილეობა მიეღო პროცესში. მოწმეს არ ახსოვს ს. ფ.-მ წაიკითხა თუ არა ხელშეკრულება, თუმცა ს. ფ. ადვოკატის მოცემულ მოთხოვნას დათანხმდა და იქვე მოაწერა ხელი ხელშეკრულებას. ეთიკის კომისიის განმარტებით, სადაო გარემოებაზე არსებობს საწინააღმდეგო მოსაზრება საჩივრის ავტორსა და ადვოკატს შორის. ადვოკატის განმარტებით, დამატებითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობაზე კლიენტთან შეთანხმებული იყო და არ უსარგებლია პროცესის დაწყებამდე დროის სიმცირით, საწინააღმდეგოს განმარტავს ს. ფ.. სადაო ფაქტის დასადგენად დისციპლინურ საქმეში არ არის წარმოდგენილი მხარეთა ურთერთგამომრიცხავი განმარტებებისა და მოწმის, ს. ფ.-ს შვილის ზ. ფ.-ს პოზიციის გარდა სხვა მტკიცებულება, რომლითაც ადვოკატ მ. დ.-ის მხრიდან სადავო ქცევა დადასტურდება. გარდა ამისა, კოლეგია ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ს. ფ. საჩივარში უთითებს, რომ ადვოკატმა 2015 წლის 25 ოქტომბერს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს შენობაში, მის საქმეზე სხდომის დაწყებამდე მოუწყო შანტაჟი და დამატებითი თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში უარი განუცხადა სააპელაციო სასამართლოში მისი ინტერესების დაცვაზე, ხოლო სხდომაზე ს. ფ.-მაც და მოწმემ - ზ. ფ.-მაც განმარტეს, რომ სადავო ფაქტს ადგილი ჰქონდა მეორე დამატებითი შეთანხმების დროს, 2014 წლის 10 მარტს. მოცემული გარემოებების გათვალიწინებით, კოლეგიის შეფასებით, მხოლოდ მოწმის განმარტება, მაშინ როდესაც აღნიშნული მოწმის ქონებრივ უფლებებს უშუალოდ შეეხო ს. ფ.-სა და ადვოკატ მ. დ.-ს შორის სამოქალაქო დავა და მოწმეს გარკვეული პირადი ინტერესიც შეიძლება გააჩნდეს ადვოკატთან მიმართებაში, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები არ არის საკმარისი დასაბუთებული ვარაუდის შესაქმნელად, რომ ადვოკატმა მ. დ.-მ პროცესის დაწყების წინ ისარგება კლიენტის გამოუვალი მდგომარეობის გამოყენებით და ფაქტიურად იძულებით მოაწერინა ხელი დამატებით შეთანხმებაზე. შესაბამისად, საპროცესო კოლეგია საჩივრის ავტორის პრეტენზიას არ იზიარებს.

8.7 ს. ფ.-ს მეორე პრეტენზიასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვით მას არაეთიკურად მიაჩნია ადვოკატის 2014 წლის 10 მარტის შეთავაზება დამატებითი ხელშეკრულების თაობაზე, რომლის მიხედვით იცვლებოდა 2013 წლის 7 აგვისტოს ხელშეკრულების მე-14 პუნქტი და ყალიბდებოდა შემდეგნაირად: ,,2013 წლის ხელშეკრულების მე-2 მუხლში მითითებული ვალდებულებების შესრულების და საქმის მოგებით დამთავრების შემთხვევაში, თუ საქმე ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში დასრულდება ს. ფ.-ს სასარგებლოდ, ამ შემთხვევაში კლიენტი ს. ფ. ადვოკატ მ. დ.-ს გადაუხდის მოგებული თანხის 50%-ს. მოგებაში იგულისხმება საქმის უკან დაბრუნება ან სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილება," ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატის პროფესიის მომწესრიგებელი აქტები არ შეიცავს საადვოკატო მომსახურების ღირებულების განსაზღვრელ ნორმებს. ადვოკატის მომსახურების ღირებულება დამოკიდებულია ადვოკატსა და კლიენტს შორის შეთანხმებაზე, რეგულირდება ზეპირი ან წერილობითი ხელშეკრულებით და წარმოადგენს სახელშეკრულებო სამართლის სფეროს. შესაბამისად, ეთიკის კომისია არ არის უფლებამოსილი შეფასოს საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების კონკრეტული პირობა.

8.8 კომისია საჩივრის ავტორის პრეტენზიასთან დაკავშირებით, რომ ადვოკატმა შეურაცხყოფა მიაყენა მის მოქმედ ადვოკატ ა. მ.-ს, განმარტავს, რომ ,,ადვოკატთა დისციპლინური

პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-6 მუხლის „ა'' ქვეპუნქტის თანახმად: „დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია: პირის საჩივარი, რომელსაც მიაჩნია, რომ ადვოკატის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და ინტერესები, გარდა ანონიმური საჩივრისა''. ნორმის განმარტებიდან გამომდინარე, ს. ფ. არ მიიჩნევა უფლებამოსილ განმცხადებლად იდაოს მისი ადვოკატის მიმართ მოპასუხე ადვოკატის, მ. დ.-ის მიერ ეთიკური სტანდარტების შესაძლო დარღვევაზე, ვინაიდან კოლეგიალობის პრინციპის შესაძლო დარღვევის სუბიექტი არ არის ს. ფ..

8.9 საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკმარისი ვარაუდი ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე და შესაბამისად, ადვოკატ მ. დ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა.

8.10 ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების 30-ე მუხლის მეორე პუნქტით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №103/18 ადვოკატ მ. დ.-ის მიმართ /სიითი №...././ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.

2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.

3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/